საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/101

ქ. ბათუმი 22 აგვისტო, 2019 წ.

2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის ნაწილში დამატებით წარმოდგენილი საკონკურსო შედეგების (ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით პროფესორის თანამდებობაზე არჩევის თაობაზე) დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 ივლისის N01-02/114 ბრძანებისა, ,,2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის ნაწილში დაუმტკიცებლობისა და საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს N06-01/99 დადგენილებისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/84 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიების მდივნების მოხსენებითი ბარათების და საკონკურსო კომისიების 2019 წლის 20-21 აგვისტოს დამატებითი ოქმების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 ივლისის N01-02/114 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული და 2019 წლის აგვისტოში ჩატარებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის ნაწილში დამატებით წარმოდგენილი საკონკურსო შედეგები **(ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით პროფესორის თანამდებობაზე არჩევის თაობაზე)** დანართი 1-ის შესაბამისად.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, მათი ბსუ-სთან აფილირების განაცხადის შედეგად გაფორმებული წერილობითი

შეთანხმების გათვალისწინებით, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების თანახმად.

3. გამარჯვებულ კონკურსანტებთან არაუგვიანეს 2019 წლის 10 სექტემბრისა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები, წინამდებარე დადგენილების მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით და ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად, პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე **(ვადიანი კონტრაქტით) - 2019 წლის 16 სექტემბრიდან ექვსი წლის ვადით (2025 წლის 16 სექტემბრამდე).**

4. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს
№06-01/101 დადგენილების
დანართი 1.

,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 ივლისის N01-02/114 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული, 2019 წლის აგვისტოში ჩატარებული და ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის ნაწილში დამატებით წარმოდგენილი საკონკურსო შედეგების მიხედვით **პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** (ვადიანი კონტრაქტით) - **2019 წლის 16 სექტემბრიდან ექვსი წლის ვადით (2025 წლის 16 სექტემბრამდე) არჩეული პირები.**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

№	დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/ დარგი	საშტატო ერთეულის დასახელება და გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების სახე (ვადიანი)	გამარჯვებული კონკურსანტი
1	ქართული ფილოლოგიის	ქართული ლიტერატურა	პროფესორი	რამაზ ხალვაში
2	ევროპეისტიკის	კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინოლოგია	პროფესორი	მარინე გიორგაძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

№	დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/ დარგი	საშტატო ერთეულის დასახელება და გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების სახე (ვადიანი)	გამარჯვებული კონკურსანტი
1	ბიოლოგიის	ეკოლოგია	პროფესორი	დავით ბარათაშვილი